ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250173**

თარიღი:**17/01/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელს სახელმწიფო შესყიდვის(მრავალწლიანი შესყიდვა) განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს 2025 წელს, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა ქალაქ ახალციხეში:

ა) შალვა ახალციხელის №5-ში სამუსიკო სკოლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე (მრავალწლიანი შესყიდვა), ღირებულებით: 3 587 156 (სამი მილიონ ხუთას ოთხმოცდაშვიდი ათას ას ორმოცდათექვსმეტი) ლარი;

ბ) შოთა რუსთაველის №124-ში კინო კლუბისა და მედიათეკის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე (მრავალწლიანი შესყიდვა), ღირებულებით: 4 970 158 (ოთხი მილიონ ცხრაას სამოცდაათი ათას ას ორმოცდათვრამეტი) ლარი;

გ) ასპინძის ქუჩა №44-ში მდებარე სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვაზე (მრავალწლიანი შესყიდვა), ღირებულებით: 4 502 298 (ოთხი მილიონ ხუთას ორი ათას ორას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი